კვირა, 30 იანვარი 1911 წ. ფასი ყოველგან 10 კაპ.

# სალამური



№ 4 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія Т-ва „Шрома“. Теофилу Ерастовичу Болквадзе.



ვ ე დ რ ე ბ ა.

## საბრალო ბაბუა.

I

— ქარი ჰქრის, ქარი ზუზუნებს,
ჯოჯოხეთური ღამეა...
ოჰ, ეს გულ-ქვავი გრიგალი
რა უზოგავი რამეა!
ას წლოვან ხეებს წელში ჰხრის,
ღრიალებს, როგორც აფთარი;
ძლივს-ღა დაღოღავს ცხოველი
უსმელ უჭმელი, გამხდარი...

ქარი ჰქრის, ქარი ზუზუნებს,
მთა-ბარს გაუდის ბლავილი,
თვის დედამიწას მზრდელ მკერდზე
კვნესით ეკრობა ყვავილი.
თოვს და თოვს... მისი ფერფლები
ბრწყინავენ ათას ფერადა;
ჰკივის ქარ-ბუქი, ცას ჰბურავს,
თოვლს აბნევს ნიავ-მტვერადა.

ღამე, ღამე — შავ-კუპრი,
ჯოჯოხეთური, ბნელეთი;
მოსთქვამს — და სტირის ქარ-ბუქთან
ყინვით შეკრული ხმელეთი;
ცის თაღი ღრუბლით ჭმუხნილა,
მწყრალი, პირ-მქუში რამ არი;
მნათობნი არსად ღოღავენ,
ცა ბნელობს, როგორც სამარი...

II

თოვლში ჩამდგარი მკერდამდი,
მოდის ბილიკზე ზალიკო;
გზას აჰბნეოდა მოხუცი,
სხვა გზაზე გადამცდარიყო;
კორდი კორდსა გავს, სერი სერს,
მთლად დაჰკარგოდა გზა-კვალი,
ღამე რას ნახავს, როცა რომ
დღისიც ღალატობს მას თვალი!

მოდის, მოაპობს თოვლ-ნამქერს;
მხნეობას არის ჩვეული,
მაგრამ დღეს რა ჰქნას ბედ-შავმა:
სიბერე ახლავს წყეული.
ბექს შვილის შვილი შეუსვამს,
რვა წლის გიგოლი ობოლი;
სიცივე ჰყინავს საბრალოს
და თრთის ვით ვერხვის ფოთოლი...

მოდის მოხუცი, გზას ებრძვის,
მოარღვევს ქარ-ბუქს მკერდითა,
სერით სერებზედ გადმოდის,
მოდის ფერდოზედ ფერდითა...
ღამე მთლად ჩამოშავ-კუპრდა,
ჩაჯოჯოხეთდა, ჩაბნელდა;
ბუქმა შეჰხუთა ჰაერი,
გზაზედ სვლა უფრო გაძნელდა.

ეჰ, წახდა საქმე!.. მუხლებში
მოხუცს უმტყუნა ძალამან,
ნაბუქრის რღვევამ მოჰქანცა,
სულიც კი დაულალა მან.
უშტოვო ხის ქვეშ ჩამოჯდა,
ვერ სძრავს ყინვისგან ენასა,
ყურს უგდებს მთების გოდებას
და მწარ ქარ ბუქის ღრენასა!

—„ბაბუ! გამყინვა.. გავშეშდი!“—
ძლივს-ღა ლუღლუღებს გიგოლი—
„იკივლე! იქნებ გაგვიჩნდეს
„ვინმე სოფლამდე მიმყოლი;
„თორემ ქარ-ბუქი მატულობს,
„თავ-ზარსა მცემენ ეს ხმანი,
„სადმე გადაგვჩეხს გრიგალი,
„დავიღუპებით, ღმერთმანი!“ .

ჰკივის ზალიკო!.. თითქო გრძნობს
ღონე მოეცა მძლე მასა,
ჰკივის და კვალად ყურს უგდებს:
ელის ხმის გამოცემასა;
მაგრამ ხმა არსით არ არის,
ისმის კვლავ ქარის ზუზუნი
და დაგლოვებულ ქვეყანას
თავს აწევს ღამის უკუნი...

ფეხზე წამოდგა ზალიკო,
მიდის და მიდის ქშენითა,
ქარი კი გულ-მკერდს უსერავს,
წინ ხვდება მწარის ღრენითა,
ხან მარჯვნივ ხევში გადასჩეხს,
ხან პირში შეუგუბდება...
წამის სავალ გზას მოხუცი
თითო საათი უნდება...

ცახელი.

(შემდეგი იქნება)

# გაუთავებელი ვიზიტები.

მეგობრობა!... ეს ისეთ სალახანა სიტყვათ გადაიქცა დღეს, რომ აღარ იცი რას გამოხატავს —შენს ერთგულს, შენთვის კეთილის მდომს, შენს მოამაგეს, თუ შენს მოსისხლე მტერს. „მეგობრობა“ „ამხანაგობა“ ეს სიტყვები დღეს ისეთი სამოსელია, რომლის ქვეშ თავს იფარავენ ყველა, სინდის გარეცხილი ადამიანები. დიახ! ჩემის აზრით საჭიროა ეს სიტყვა აუცილებლათ ამოიფხიკოს ლექსიკონიდან და მის მნიშვნელობის გამოსახატავათ სულ სხვა სიტყვა იქნას შემოღებული. რა ხელობის გინდა რომ არ იყოს დღეს გუშინდელი „მეგობარი“, ჯაშუში, პროვოკატორი, მოღალატე, იუდა გამცემელი, მატყუარა, გაიძვერა და სხვა. ვერ აუტანია ცხოვრების მწვეტიანი კლანჭები, ვერ შერიგებია ცხოვრების ტკივილებს და სული გაუყიდნია. „მეგობარს“ ჰგონია მორჩა გათავდა ყველაფერი, ჩაიღუპა, ჩაიძირა, ყველაფერს სარქველი დაეხურა და გასაქანი აღარ აქვს. ჰგონია, რომ დღეს სამარცხვინო არ არის რა ხელობასაც უნდა მოჰკიდოს ხელი, ოღონდ კი ცხოვრების კლანჭებს დააღწიოს თავი. ცხოვრება ტკბილია, „მეგობარსაც“ უნდა ცხოვრება და დროს და გარემოების მიხედვით მოქმედობს. სხვა დრო რომ ყოფილიყო ის სასტიკათ დაჰგმობდა ასეთ ხელობას, მაგრამ დღეს ეს შე-

უძლებელია, მას სურს იცხოვროს, ამ ცხოვრებისთვის კი საჭიროა სამარცხვინო ხელობას მოჰკიდოს ხელი; გულ უბრყვილო ადამიანი ასეთ ,,მეგობარს'' ვერ ამჩნევს, რომ გველის ტყავი აცვია და ადვილათ ვარდება მის ხაფანგში. სწორეთ ასე მოუვიდა უმორჩილეს მონას ბ-ნ ბურნუთს. გავები ხაფანგში ორივე ფეხებით და ისე მაგრათ, რომ ეხლაც გონს ვერ მოვსულვარ.

როგორც მოგახსენეთ საქონლის სადგურის მუშების ნახვის შემდეგ, მივადექი რკინის გზის სადგურს. მინდოდა კონდუქტორების ბრიგადა მენახა და უბილეთოთ წავსულიყავ მცხეთამდე, გავედი თუ არა ბაქანზე, გიჟივით მეტაკა ერთი ჩემი ძველი ,,მეგობარი''. დიახ, ის ჩემი კაი მეგობარი იყო და ეხლა კი, როგორც დავრწმუნდი ბჭყალებიან მეგობრათ გარდაქმნილა. სოსიკო (ეს ჩემი მეგობრის სახელია) ისეთი თავდაჭერილი ბიჭი იყო წინათ, რომ თქვენი მოწონებული. ღვინოს აბა, როგორ ახსენებდით მასთან, რესტორანში და სასტუმრო ბაღებში ქუდი, რომ შეგეგდოთ არ შევიდოდა. მდგომარეობა რამდენათმე სცვლის ადამიანსო, მართალი ყოფილა, ამ უკანასკნელ ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში, ჩემი მეგობარი, წინათ ყოველივე ბრჭყალებისაგან თავისუფალი და ეხლა თავიდან ფეხებამდე ბრჭყალებით შეიარაღებული, სრულიად გადასხვაფერებულა. წინათ თუ მისი იდეალი საზოგადო საქმე, საზოგადო მოღვაწეობა და ხალხის სამსახური იყო, დღეს ქალები, ღვინო, ქეიფი, ბაღებ-რესტორანებში ხეტიალი მის სათაყვანებელ საგნად გამხდარა. დრო გამოიცვალა, მეც გამოვიცვალეო — იმართლა თავი „მეგობარმა". მტაცა ხელი სადგურზე და გამაქანა. სად ვიყავით და რა მოვიმოქმედეთ აღარ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ რომ პირველათ გორგიჯანოვის ბაღში შევედით, შემდეგ შევყევით მიხაილოვის ქუჩაზე სამი დღის შემდეგ რესტორან ანონაში გამომეღვიძა ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ამბავი ჩამრჩა მეხსიერებაში: მესამე დღე იყო, თუ მეორე რესტორან ,,ამმა''-ში ვიყავით. წასვლის დროს რამდენიმე ხაზეინი მოგვვარდა და პალტოების და ქუდების წართმევა მოგვინდომეს, თან ჩხუბი აგვიტეხეს—ჩქარა უნდა გავკოტრდეთ და ვინც ჩვენთან შემოვა ყველა დედიშობილა უნდა გავუშვათო, იქნება ასე მაინც დაგვრჩეს რამეო. ეს ამბავი იმიტომ მახსოვს, რომ მუშტებზე მიდგა საქმე და კინალამ პოლიციაში წაგვრეკეს საქმის გამოსარკვევათ. ამან ცოტათი გამომაფხიზლა, რადგან გამახსენდა, რომ პოლიციაში შესაძლებელი იყო მასაჟი გაეკეთებიათ, რომ უფრო კარგათ გამოერკვიათ საქმე. წამოვდექ თუ არა ანონაში, ჩემი ,,მეგობარი'' ისევ ტკბილად ხვრინავდა, რომ გავსწიე სადგურისკენ. გავედი თუ არა სადგურზე დაუყონებლივ ვესტუმრე

**რკინის გზის კონდუქტორებს.** თითო ოროლა პატიოსან და ზდილობიან კონდუქტორს ვიცნობ, ამის და მიხედვით მთელ კონდუქტორებზე ისეთი შეხედულობა მქონდა, რომ ყველა მეტათ ზრდილი და პატიოსანი მეგონა. მაგრამ მოვტყუვდი და მწარეთაც ძვირათ დამიჯდა ეს მოტყუება. ჯერ სანამ ბაქანზე გავიდოდი ორმა მოზრდილმა კონდუქტორმა კარებში გვერდები ჩამამტვრიეს: კარებთან აქეთ იქით იდგა ორი კონდუქტორი, ერთი გრძელ წვერა და მეორე მოკლე ჭაღარა წვეროსანი. გავყე თავი თუ არა კარებში, დამიხურეს მუშტები. მემრე როგორც გავიგე თურმე ბილეთი იყო საჭირო. მოვკურცხლე იცოცხლეთ. მივადექი კონდუქტორების ბრიგადის ოთახს, შევყე ცხვირი კარებში თუ არა, კინალამ გული წამივიდა. ისეთი მყრალი სუნი იდგა ოთახში, რომ ცოცხალ ადამიანს არ შეეძლო იქ შესვლა, ოთახიდან ისმოდა ტკბილი, სასიამოვნო ლანძღვა-გინება ისე ძმურად და მეგობრულათ, თან მყრალათ ილანძღებოდენ, რომ გესიამოვნებოდა კაცს. ცოტა ხანს მეც ყური დავუგდე. უცბათ თვალი მომკრა ერთმა ხმელ ხმელმა კონდუქტორმა, ქორივით გადმოფრინდა და ცხვირთ წინ ამეყუდა. (როგორც შევატყე ჩვენ კონდუქტორებს მეტათ განვითარებული აქვთ ერთ გვარი ყნოსვა) გამიგო ეშმაკობა, შემატყო რომ უბილეთოთ მინდოდა წასვლა. დაინახეს თუ არა ეს სხვებმა ყველანი ზეზე წამოიჭრენ და გარს შემომერტყენ. სიტყვის თქმაც კი არ დამაცალეს ზოგმა ბაქოსკენ დამიწყო პატიჟი, ზოგმა ერევნისკენ ზოგმა ყარსისკენ, ზოგმა ბათომისკენ. როგორც იქნა შოვახერხე და გავაგებინე, რომ ბათომში მივდიოდი ხმელ ხმელმა კონდუქტორმა უცბათ ჰაერში ამიტაცა, გარეთ გამომარბენინა და ერთ ვაგონში შემიტანა. დამსვა სკამზე და სიტყვაც არ უთქვამს ისე გავიდა გარეთ და გაიხურა კარები. როგორც აზროვანმა ადამიანმა მივხვდი, რომ ბათომის მატარებლის კონდუქტორმა მიყო ეგ სიკეთე. ჩქარა ბათომისკენ უნდა გავქანებულიყავ. საჩქაროთ დავსწერე ღია ბარათი და ჩემს რედაქტორს შევატყობინე, რომ გავემგზავრე და აღვუთქვი ყველაფერი ამბის დეპეშით მიწერა. ცოტა ხნის შემდეგ მატარებელიც დაიძრა...

**ღრმა ღელე**—15 იანვარი. პატივცემულო რედაქტორო! ნეტავი თქვენ! რა გიჭირთ, ზიხართ არხეინათ რედაქციაში და სწერთ! ერთი იკითხეთ რა ყოფაშია თქვენი თანამშრომელი ბურნუთი! გავსცდი

თუ არა თბილისს, ენა გადმოგდებული შემოვარდა ჩემი კონდუქტორი, მტაცა ხელი ფეხებში, გადმომითრია სკამიდან და სკამ ქვეშ მაკვრევინა თავი. გავგიჟდი, გავცოფდი. მზათ ვიყავი მივარდნოდი და მომეკლა, მარა ცრემლ მორეული შემემუდარა ,,შენი ჭირიმე, შეძვერი, კონტროლი მოდის‘‘ო. შემეცოდა, რაღას ვიზამდი შევძვერი, ვიკადრე სკამ ქვეშ შეძრომა, ისე, როგორ ძვრება ხოლმე ძაღლი ღორი ან კატა. განა წარმოვიდგენდი ოდესმე ასეთ მდგომარეობას?! დეპეშას გიგზავნი. თავ ქვეშ ხელი შემოვიდე და მინდა ცოტა ჩავსთვლიმო, რომ დავივიწყო ეს აუტანელი ტანჯვა.

**ავჭალა**—16 იანვარი. ოხ! წყეულიც იყოს ის დღე, როცა მე აქეთ წამოსვლა განვიძრახე. წყეულიც იყვნენ ყველა ისინი, ვინც უბილეთოთ იფიქროს წასვლა. გავსცდი თუ არა ღრმა ღელეს, თავს ძალა დავატანე და ჩამთვლიმა. ისე ტკბილათ ჩამეძინა, რომ ყველაფერი დამავიწყდა, თუ არ ეს უბედური შემთხვევა ისე არხეინათ ჩავიდოდი ბათუმში, რომ ვერც კი გავიგებდი სკამზე ვიწექი, თუ სკამ ქვეშ. არ გამიგია, როგორ მივედით ავჭალაში. უცბათ ვიღამაც მტაცა ფეხებში ხელი და გამომათრია. „ავჭალაში მივედით, კანტროლი აღარ წამოვა, შეგიძლია გამოხვიდეო» მომესმა კონდუქტორის ხმა წყეულიც იყოს აქეთ წამოსვლა, კონდუქტორიც, კანტრალიორიც და სკამ ქვეშ შეძრომაც.

სადგურის ბაქანზე გავედი თვალების ფშნეტით. მატარებელი ცოტა ხანს დარჩა აქ. თვალი მოვავლე მხოლოდ თფილისის წყლისაყვანის აუზებთან დაცემულ კარვებს. მითხრეს, რომ იქ ხოლერის ბაცილები ყოფილან დაბანაკებული, ყინვებისათვის ველარ გაუძლიათ და ზევით ამოსულან, გაზაფხულზე მძლავრი იერიშით მოდიან თფილისზე. მზათ იყავით.

**ზემო-ავჭალა**—17, 18 და 19 იანვარი. გაზეთის არც ერთ თანამშრომელს არ გადახედია ისეთი ტანჯვა, რომელსაც მე ეხლა განვიცთი. დაიძრა თუ არა ავჭალიდან მატარებელი, კონდუქტორმა არც კი მკითხა ისე შემათრია სკამ ქვეშ. კანტრალიორი ისევ წამოსულა. მესამე დღეა ავჭალიდან მოვდივართ.

**ბურნუთი.**



# ის მიდიოდა.

ის მიდიოდა, მიდიოდა თავჩაღუნული,
განიერ შუბლსა ხან გახსნიდა, ხან შეიკრავდა,
ხან შედგებოდა და გასცქეროდა უსაზღვრო სივრცეს,
თითქო უნდოდა შიგ გაექრო რაც გულს უწყლავდა.
მზე კი მწვერვალზე თმა გაშლილი გადმომდგარიყო,
გადმოყურებდა დაბლა გაშლილ ტყე-მინდორ ველსა
და დილის ნამით პირდაბანილს ველურ ყვავილებს
ოქროს მძივებით მომხიბლავათ უმკობდა ყელსა!
მაგრამ ის ამას ყურადღებას სულ არ აქცევდა,
ფიქრთა მორევში დასცურავდა, დანავარდობდა,
და აწმყო წარსულს ერთმეორეს რა ადარებდა,
ის თავის გულში სურვილს სკვნიდა, რწმენით
ამბობდა:
,,არა! ცხოვრება ერთ წერტილზე ვერ შეჩერდება,
დღეს თუ წყნარად დგას, ხვალ, ვითა ზღვა, აბობოქრდება
და ერთი დაკვრით, უძლეველი მისი ტალღები,
წალეკავს, როცა ხელსა უშლის, წინ ელობება!“
და მიდიოდა, მიდიოდა თავჩაღუნული,
განიერ შუბლსა ხან გახსნიდა ხან შეიკრავდა,
ხან შედგებოდა და გასცქეროდა უსაზღვრო სივრცეს,
თითქო უნდოდა შიგ გაექრო რაც გულს უწყლავდა.

**ვ. რუხაძე.**

# სიმღერები

გზას გავივლი, მინდვრად გავალ,
ობოლ მდელოს ვესტუმრები,
მეგობარი მომისვენებს,
სულს დამიტკბობს მისი ხმები!..
დე, ბულბული შორით მღერდეს,
შორს ყვაოდეს ტრფობის ვარდი,
გულის სწორთან მირჩევნია,
მქონდეს ბინა, მქონდეს დარდი!
სევდის ყვავილს ვინახულებ,
მეგობარი მომცემს სალამს,
ჩავეხვევი, გადავკოცნი,
მას გაუშლი გრძნობის ალამს,
მასთან ვივლი განუწყვეტლად,
მასთან ვიმღერ ბრძოლის ჰიმნებს,
მარად ტანჯვამ შემაჩვია,
ამგვარ გრძნობას, ამგვარ ფიქრებს!..

გზას გავივლი, მაღლით ავალ,
მთის მწვერვალოს ვესტუმრები,
მზეო, მზეო, ახლოსა ვარ,
შვების ტყორცნე სხივთ-ისრები!..
ან რად მიშლი, გრძნობის გველო,
ჩემი გული მზეს რო უხმობს...
იგი მარად მონარნარე,
შავ-ბნელ წყვდიადს გულს გაუპობს!..

—

ტალღებ შორის დავიბადე,
მოვევლინე მით ქვეყანას,
მე ზღვამ მშობა, ზღვამ ამზარდა,
მიმღეროდა დიად ნანას,
მშობლიურ ხმებზე შეჩვეული
ხშირად გულიც აღიგზნება,
ვიმღერ, ვიმღერ ბრძოლის ჰიმნებს,
მე არ ვიცი მოსვენება!..

**გელა.**

---

# სიკვდილის ანგელოზი

(ესკიზი)

...ერთხელ სიკვდილის ანგელოზსაც ეწვია სევდა. ჯალათს უკვდავებისას, ვისაც ყველგან და ყველასგან მხოლოდ წყევლა და შეჩვენება ესმოდა, და ვისი შურის მაძიებელი სული სოფელს წალეკას უქადდა სტანჯავდა გამოუთქმელი ნაღველი და მის თვალებზე ცრემლების მაგიერ საფლავის მტვერი თრთოდა სიკვდილის ცელს დაყრდნობოდა და ლურჯ, კამკამა ტბაზედ დახრილიყო. ცელქი ზვირთები ტლაშანით უამბობდენ მას თავიანთ თავგადასავალს, გამოუცნობელ საიდუმლოებით და გამოუთქმელ სევდით მოცულს, მაგრამ სიკვდილის ანგელოზს არ ესმოდა მათი მწუხარე ხმა. მკრთალ მოგონებათა გრეხილი, მოგონება წარსულზე, როცა ისიც წმინდა ქერუბიმებთან ერთათ ლოცულობდა და თავის ფრთოსან მეგობრებთან ეფრატის ნაპირებზედ ქებას უგალობდა შემოქმედს, დიდებულ ხუროთ-მოძღვარს მის გონებას არ შორდებოდა. ჟამი შვებისა თვისკენ ეძახდა, უხმობდა გარდაელახა დროთა საზღვარი და კვლავ განწმენდილი, ცოდვათაგან განბანილი წარსდგომოდა იეღოვას ოდესღაც ლმობიერს, მაგრამ რა დახედავდა გაწვდილ ცელს შიშით შეძრწუნდებოდაა...

ახსოვს მას, და არასდროს არ დაავიწყდება გრძნობა უმანკო და უმწიკვლო სიყვარულისა, რომელსაც იგი თავდავიწყებით მიეცა... აგონდება მას როგორ გაკადნიერდა და დიდების მოყვარულმა მოინდომა ბრძანებელის დამხობა, რომ მისი ძლიერება და სიდიადე სატრფოსთვის გამზადებულ სიყვარულის კვარცხლბეკზე მიეტანა...მაგრამ ეხლა სანახაობა იცვლება: ხედავს ის საშინელს სამსჯავროს აგონდება რისხვით მგზნებარე თვალები უფლისა... მას ეპატია დანაშაული, მაგრამ სამაგიეროდ ის შეიქნა ჯალათი უკვდავებისა გაყიდა სინდისი უმანკოებისა.

რად უნდოდა ქვეყნის მპყრობელს მისგან ასეთი საშინელი მსხვერპლი. აგონდება სიკვდილის ანგელოზს წყევლა, სასტიკი წყევლა, რომელიც დასდეს მას მომაკვდავთა, როცა მათი სული კალთაში გახვეული მას იეღოვასთან ძლვნად მიჰქონდა.

იყავ წყეული... შეჩვენებული.

გაცრეცილ ტუჩებზედ ამოიკითხა მან როცა საყვარელს სატრფოს აშორებდა. აგონდება მას ხილვა უფსკრულისა, საშინელი უფსკრულისა რომელშიაც ჩაიხედა დედამ, როცა პირმშოს გვამს გაციებულს გულში იკრავდა და სიცივე, საფლავის სიცივე, რომელიც სიკვდილმა შთაბერა უმანკო სულს დედის ცეცხლით მგზნებარე გულს ვერ გაეთბო. სიკვდილის ანგელოსმაც ჩაიხედა ამ უფსკრულში და შიშით შეძრწრნდა, იქ ნამდვილი უდაბნო იყო არსად ისე არ ბნელოდა, როგორც იმ უფსკრულში.

რად წამართვით! ვის ეკითხებოდა გამწარებული დედა?

განა ჩემი ბრალია!..

საშინელია, საშინელი შენი რისხვა შემოქმედო, განა შენ თითონ არ სთქვი ნუ აიღებ მახვილს რათა მახვილითვე არ მოისრაო, განა შენ სიონზედ ცის იდუმალ ნისლში გახვეულმა არ გამოაცხადე „არა კაცს კლაო?". მერე შეიძლება მკვლელი ჩემისთანა? ოკეანე შესდგებოდა ჩემგან დაღვრილი ადამიანის ცრემლისა, თვით შენ ცის კიდეთ შეზარავდა ოხვრა და კვნესა რისიც მე ვიყავ მოწამე,— ჩურჩულებდა სიკვდილის ანგელოსი და გამხმარ ძვლებს საშინლად აჭრიალებდა.

საშინელია შენი რისხვა...

მაგრამ შესწყდა მისი ხმა, უკვდავმა მეზარემ ჯოჯოხეთისამ, შუაღამისას ჩამოჰკრა ზარებს და ცოდვილ სულთა აჩრდილნი დედამიწაზედ ბოლოდენ. აგერ თითო თითოდ მოდიან და სიკვდილის ანგელოზის გარშემო ფერხულს უვლიან. საშინელია მათი სახე, სისხლით მოსვრილნი აჩრდილნი მტკიცეთ იცავენ საფლავით დადებულ აღთქმას დუმილისას, მაგრამ მათი თვალები... თვალები ვერ მალავენ საყვედურს. ველარ გაუძლო მუნჯ წყევლას სიკვდი-

ლის ანგელოსმა, ცელ გაწვდილი მისი აჩრდილი ეთერის ზვირთებს შეუერთდა და ღამის ყრუ მდუმარებაში საშინელი ქვითინი ამოუშვა. დასტიროდა ის პირველ სიყვარულს, პირველ უმანკოებას და სიწმინდეს—რას არ მისცემდა, რას ოღონდ დაბრუნებოდა წარსული ჟამი.

არას დროს!.. ისმოდა სატანის მზაკვრული ხითხითი.

არას დროს... იმეორებდა იდუმალი ბინდი ღამისა და თან თავის გრძნეულ წიაღში იკრავდა სიკვდილის ანგელოზს.

არას დროს.. მწუხარედ ბანს აძლევდენ შავი ზღვის ტალღათა ტლაშანს კოლხიდის მთები, ცად ვით ტიტანი აზიდულები.

...და ცელ გაწვდილი შავი აჩრდილი სიკვდილის ანგელოსისა ეთერის გამჭვირვალე ზვირთებში იხატებოდა.

**ტ. ტაბიძე.**

---

# შენ მაინც...

დე ქარი მღერდეს საშემოდგომოს,
გაძარცვულ არეს დაჰქვითინებდეს,
კაეშნის ფრთებით მოსავდეს ცასა
და უწყალოთ ცივ ცრემლს ადინებდეს.

დე ნაკადულის გულსაკლავ კვნესას
ის ბანს მოსძახდეს ველურის ხმებით
და მაღლით შავი, ციცაბო კლდენი
ბარსა სეტყვავდენ ლოდებით, ქვებით.

ზღვა ფაფარყრილი, პირღორბლიანი
არეს წალეკას ემუქრებოდეს
და ტყე, გაცრცვნილი, თრთოლა კანკალით
მზეს სხივსა სთხოვდეს . ევედრებოდეს,—

შენ მაინც სასო არ წარიკვეთო,
იმედის სხივნი მაფრქვიე, გულო
და შემოდგომის ქართა მოძახილს
ჩვენ ხმა შევუწყოთ საგაზაფხულო!..

—

დეე ზამთარმა თავისი თექა
არე-მიდამოს თავს წამოჰხუროს
და ზეცის წყრომა ცოდვილ ქვეყანას
ყინულის ცეცხლათ ჩამოახუროს.

შეჰკრას, შებოჭოს სიცოცხლის სხივი,
დაჰბორკოს აზრი, დახუნოს გრძნობა,
ღამეს ადაროს პირნათელი დღე,
რომ მგზავრს უჭირდეს სწორი გზის ცნობა;

მხოლოდ შავის მთის ნადირი ძრწოდეს
უღრან ტყეებში, მთის ფრიალოზე
და ბარს ყორანი ჩამოჰკიოდეს,
ვით მგლოვი თავის სატრფიალოზე,—

შენ მაინც სასო არ წარიკვეთო
იმედის ცეცხლი აღვივე, გულო
და ზამთრის სევდას, ცივს მდუმარებას
ჩვენ ხმა შევუწყოთ, საგაზაფხულო!..

**ნ. ზომლეთელი.**

---

# ღმერთების ბრძოლა.

(პ ო ე მ ა)

## III

დილის ბინდ-ბუნდზე, როს სინათლე კრთოლვას ჰლამობდა,
აღმოსავლეთი ალის მსგავსად იფერებოდა,
მაგრამ წყვდიადი საზიზღარი მყისვე ახშობდა,
კიდე-გარემოს ისევ ბნელი ეფინებოდა,
ამ დროს იქექა...გასკდა მეხი... ირგვლივ იელა,
შეირყა ზეცა, დედამიწამ იწყო ზანზარი,
ცეცხლის ქარ-ბუქმა ჯოჯოხეთი გაატიელა,
ბნელეთის დარაჯთ ულოდნელად დაეცათ ზარი.
ჰქუხს ტარტაროზი, ზიკვდილისა ცელს აპრიალებს,
უყივის გმირებს, ავ-სულ გმირებს გამწარებული,
სიმართლის ღმერთა ელვასავით თავს დასტრიალებს,
ფოლადის ისარს სტყორცნის დუშმანთ განრისხებული.
აჰა, ტატნობზე მოყიალე დემონს ჰკრა გულში,
შეჩვენებულსა სული მყისვე გააძაბვინა,
მოკვდა... ულონოდ გარდაეშვა საშიშ უფსკრულში,
აგერ,—ბნელეთის ბელზებელმა ამოიგმინა.
კიდევ იქექა... დაბინდული სივრცე გაიპო,
მოსწყდა მზის წიაღს სხივთ კოცონი ალ-მოდებული,
გაჰქრა წყვდიადი... სამოთხისა კარი გაიღო,
გამოჩნდა ბაღი ათასფერად აყვავებული.
რა თვალი მოჰკრა ამ სურათსა ბოროტის ღმერთმა,
რისხვით დასჭყივლა, სულის ძალა გაიასკეცა,
მაღლა, ჰაერზე, ბასრი ცელი შეატრიალა,
გაჰქანდა მტრისკენ, ცით მონასხლეტ მეხად დაეცა.
გაჩაღდა ბრძოლა... შორით ისმის აბჯართ ცემის ხმა,
ეკვეთნენ ერთ-ურთს,—მოსწრებულად ფარი იფარეს,
ფოლადის შუბებს შესაზარათ გააქვთ წკრიალი,
წალკოტის მწვერვალს ცოდვის სისხლი ზედ დააღვარეს.
შიშით ცახცახებს არე-მარე, კიდითი-კიდე,
ჰაერიც წითლად იღებება... სუნთქვა ძნელდება,

დაირღვა ზეცის გარმონია, სულის სიმშვიდე,
ხან კვლავ იელვებს, ხან გარემო მთლად დაბნელდება
უკუნეთით-კი, შავი ლაშქარი
შეუწყვეტელად მოედინება,
ძირს, მიწაზედაც ომია ცხარე,
უშწევო დაჭრილთ გაისმის ზარი,
გლოვის მანტია ბარს ეფინება,
პიტალო კლდეებს გააქვთ ზანზარი.
ტანჯულთ ქოხები სრულად დაცლილა,
დიდი, პატარა ველად გაჭრილა.
ირგვლივ ყიჟინი გულისა მგზნები,
მეომართ შორის გაისმის ხმები:
**პირველი:** „—რაო, მოჰკლესო? . თავისუფლება?..
ნუ თუ?.. ვაი ჩვენ!!!
**მეორე:** „—ეს არ მოხდება!
იგი იმ ბოროტ ძალებსა მუსრავს. .
**მესამე:** „—ჰეი, წალკოტზე შეხეთ რა ხდება!..
**ლაშქარი:** „—ის არი ისა!.. ჩვენსკენ მოიბრძვის,
აბა წინ მედგრათ... აღსრულდა წერა!.
ოჰ ნეტარებავ!.. ჰეი ლომ-გულნო
მტრისკენ თამამად!.. ისევ სიმღერა!
**მომღერალნი:** „—მეგობრებო წინ, წინ ჯარად,
ვეღარ იტევს ნაღველს გული,
სილაჩრეა ვიყოთ მარად
მძიმე ტვირთ ქვეშ განარიხული.
ჩვენ მზე გვინდა, მზე დიადი,
ნუ, ნუ ვმონებთ მუდამ ბნელსა,
გავითენოთ დღე დიადი,
მტერს ვეკვეთოთ საზარელსა.
დე სიცოცხლე,—ბრძოლამ სწეროს,
სულის სწრაფვამ,—სიყვარ-ული,
თუ გსურს ბედი გაიკვეროს,
დავიჩინოთ მკერდზე წყლული.
ჩვენთან სუფევს რწმენის ღმერთი,
არას დროს არ მოგვშორდება...
**ერთი მეომართაგანი:** —
შესწყდეს მღერა!... მხნედ ლომგულნო,
შავი რაზმი თავს გვაწყდება!..
ამ დროს უეცრად ჭექა გაისმა,
ერთ-ერთს შეება ორი ლაშქარი,
ღმერთას აღმგზნებათ გულში წვდა ის ხმა
და ძირს დაეშვა შეუპოვარი.
ჩაგრულთა რაზმი მტერს მუსრავს, ჰკაფავს,
მთავარ-სარდალი იქ სულსა ჰლაფავს,
მაგრამ ეტყობა რაზმს დასუსტება,
სულ წალკოტისკენ გაიყურება,
ცახცახით ელის...
**თავისუფლების ღმერთა:** „—ჩემო ტრფიალნო!!!
. . . . . . . . . . . . . . . . .

და კვლავ გამხნევდა ჩაგრულთ ლაშქარი,
დუშმანთ ეკვეთა გულით მედგარი,
დაეცა შავთა ძირს ასის თავი,
კვნესა გაისმა სულის მზარავი.
იმსხვრევა ციხე,—კაცთა საფლავი,
ხავსიან კედლებს ცეცხლი ედება,
სისხლით და ლეშით ნაყრდება სვავი,
ბოროტი მტერი მიწად ეგება.
ერთიც დასჭყივლეს უკანასკნელად
და.. . უცბად მისწყდა ჭექა-ქუხილი,
მოკვდა .. დმხოცილ სპათ შეუერთდა
ბოროტი ღმერთი, უკუნის შვილი.
დიად ღმერთამა თავისუფლების,
ხმალი ჰაერად შეატრიალა
და გულის წარმტაც ნელი სიმღერით
ლურჯ ლაჟვარდისკენ გაისრიალა.
მზე ცის კიდურით გადაიწურა,
მთებმა დახუჭეს ნელ-ნელ თვალები,
ტკბილ-საიდუმლო ვნებათ ამშვლელად
ძირს წამოშალეს ჩრდილთ დალალები.
ცელქმა მდინარემ ყრუ სიჩუმეში,
ხმა შეთანხმებით ბუტ-ბუტს უმატა,
თან ცის დარაჯმა, მთვარემ გრძნეულმა
შუქით, ზვირთები აანდამატა.
ნელმა ზეფირმა ველად დაჰქროლა,
ჩანგი ამღერა მელოდიური,
ბუნების ხმებში გამოქსოვილი
არეს მოესმა ჰანგი ციური.
ლაშქარს-კი, ლაშქარს არ ესვენება,
მწარე შფოთვაა მთელსა კრებაში,
გულიდან ყველას კვლავ კვნესა ჰხდება,
ხმლები ელავენ, ისმის განგაში.
**რამდენიმე ხმა:**
„—სად არი სადა?.. ნუ თუ მოგვიკლეს?..
მაშ ჩვენ რისათვის დავბრუნდეთ შინა,
აწ რაღად გვინდა თავი ცოცხალი
თუ მან უშწეოდ ამოიგმინა?
არა!.. ვაჟკაცნო, სულით ძლიერნო,
შევმუსროთ მიწა, შევმუსროთ ზეცა!
ან სად ჩვენი მზე უხმოდ დაეცა
იქ გავითხაროთ სამარე ჩვენცა!
დიადო სულო, ჩვენის ღმერთისა
სად განისვენებ? რომელ მხარესა?
რა გვანუგეშებს ობლად დარჩენილთ,
უშენოდ ტანჯულთ, გულ-მწუხარესა?
ღმერთაო სადა ხარ!?.
**იდუმალი ხმა:** ,,—ის თქვენში სუფევს!
დამშვიდდით სულით შუქ-მფენნო ძალნო,
აწ დაიცავით მისი ტაძარი

მსოფლიოს სხივნო, ქვეყნის ტრფიალნო.
ის იყო თქვენის დიდების სული,
კაცთ დასახსნელად ცით გადმოსული
და კვლავ დიდებით იქ აღემაღლა
რა დაინახა მტერი ძლეული.
ის სიმბოლოა თქვენის ცხოვრების,
მარად წინ გიწვევთ სახე გრძნეული.
რომ აღარ ჩაჰქრეს თქვენში წყურვილი:
წინსვლის, სიცოცხლის და დიდებისა,—
რადგანაც მუდმივ სწრაფვაში სუფევს
მცნება, უკვდავის ნეტარებისა!
და მიწყდა ის ხმა. .დიდების შვილთ მოეშვათ გულსა,
ყველა სიტყვები სინამდვილეთ მათ ედასტურა,
ზეცას აპყრობენ თვალებს შვებით გაბრწყინებულსა...
აგერა მთვარემ მათ პირდაპირ ჩრდილი ასწურა.
და მონარნარე, მკრთალ ეთერში ნელი ცურვითა,
ქვეყანას უმხელს დაფარულსა თავის ხვაშიადს,
ხალხი იშლება სიხარულით, ტკბილ სიმღერითა,
რომ მიეგებოს დილით მზესა სხივოსანს, დიადს.

IV.

უფსკრულს ჩაეშვა ნელ-ნელ ღამე... გათენდა დილა,
გულის წარმტაცად გაკრთა სხივი მსოფლიოს მზისა,
მთათ მწვერვალებზე შავი ბინდი უკვე აცლილა,
მიწას უცინის მშვენიერი ლაჟვარდი ცისა.
ოქროს ზვირთებათ ჰფეთქს, ლივლივობს მიდამო-არე,
დაბლიდან სცემენ უკვდავების შადრევანები,
სანამდვილეში ისახება ოცნების მხარე,
ოცნების მხარე, სულის სწრაფვათ დამავანები.
ბრძოლის ქარ-ცეცხლით გარუჯული, სისხლით ნამული
ცოცხლდება ველი... ვარდ-ენძელა ზამბახ-იანი...
დაბადებიდან ქვეყნის მონა და დახუნდული
თამამად სუნთქავს, სიამეს გრძნობს ადამიანი.
მაშვრალთ ქოხებში ჩვეულებრივ არ ისმის კვნესა,
კაცთ უბედობა დაუთურგნავს ბედნიერებას,
ადამის მოდგმა მზეს შეხარის, სამყაროს მზესა,
ლოცვის სიტყვებით შეღაღადებს ქებათა-ქებას.
შორს, იქ წალკოტზე, ახლად ნაფეთქ ყვავილთა შორის,
სად სხივად ჰკრთება თვალთ წარმტაცი მშვენიერება,
რომელს გრძნობითა გარდაწვნია, გარდაჰქარგვია
სიცოცხლის ვნება-ხვაშიადი, სულის ოცნება,
სადაც მწვანესა ნაზ-ამბარით არხევს ზეფირი,
ბალახი ბალახს, ნელ შრიალით ესაუბრება:
ზის იგი ღმერთი სიყვარულის, ვითარცა მწირი,
ყვავილებს ჰყნოსავს, თან სოფლისკენ გაიყურება.
აჰა აილო ხელში თავის ნარნარი ჩანგი,
მომართა სიმნი თითთა თრთოლვით და... გაჰკრა წკირო,
აკვნესდნენ სიმნი, საოცარი აღმოხდა ჰანგი,
სულს აუფეთქა მწველი ცეცხლი, გრძნობა გასწირა.
—„სხივთ გვირგვინი გრძნებით ბრწყინავს,
ჰფეთქს სიცოცხლის შადრევანი,
ალმა-ფრენა ზეცად ჰფრინავს,
ჰქრება ბოლმა კაეშანი.
შვების ჰიმნათ წვდება სმენას
ბუნებისა ტკბილ-ებანი,
საამქვეყნო შვება-ლხენას
ესწრაფვიან გულის თქმანი
ცხოვრების მთა ყვავილდება,
სიცოცხლე შლის ლაღათ ფრთებსა,
ბოროტება უხმოდ სჭკნება,
მისტირს წამხდარ სიამესა.
აღარ ვყურობ ავს სულთ ხარხარს
შიშის ცეცხლის აღმგზნებ-მდებსა,—
ვერ ჩამიჰკრავს გლოვისა ზარს,
ვერ ჩაგვიქრობს იმედებსა!
მაგრამ მე კვლავ ობოლი ვარ,
ცხოვრებისგან გარიყული,
დემონივით მთად დავქრივარ,—
მარტოობით ჰბორგავს სული.
კვალ და კვალ მდევს, არ მშორდება
შავი ხვედრი, ბედი კრული.
მარად მესმის:—„არ ახუება ..
ამაო სიყვარული !..
ოჰ, მე, გული, გული მინდა
უკვდავებით გამბანილი,
სურვილი შორს გადაფრინდა,
არ მასვენებს ტრფობის ჩრდილი.
სად ხართ, სადა? ზღვათ თუ ცადა?
მოთ, ხმა გამეთ, ხმა, ხმა ტკბილი!..
ვაჰ უგრძნობი რად გამხდარა
ადამის ძე. . შრომის შვილი!?
ხალხი უსმენს მას, იხიბლება ამ სიმღერითა,
წალკოტისაკენ აღტაცებით მიეშურება,
მასთან შეყრასა ელოდება გულის ძგერითა,
საამო ხმითა ჰიმნს უგალობს ასულთა კრება.
ნაზი ზეფირი, საიდუმლოს ეპარავს მთისას,
ჰანგათ აქსოვილ სურნელებას მიმოაქროლებს,
ჰფენს მიდამოზე ამბავს ობოლ სიყვარულისას,
და ღელვილ ხალხსა სულს უშფოთებს, მეტად უთრთოლებს.
წინ ისწრაფვიან. . ახლოვდება ტურფა მწვერვალი,
სათნო ღიმილით თავს დაჰყურებს ეთერი ცისა,
მაგრამ რამდენად შეამოკლეს მათ გზა სავალი,
იმდენად უფრო უჩინარი შეიქმნა ისა.
ჰა მიაღწიეს... ეძებენ მას... ლანდიც არა სჩანს..,
მხოლოდ წალკოტი მშვენიერი, ყვავილოვანი...

**იდუმალი ხმა:**

—„სასწაულება უვლენს სულსა მალულ კაეშანს,
მაგრამ გამხნევდი, იყავ ხალხო დიდ-სულოვანი!
ის არც უფსკრულში ჩაისრულა, არც სუფევს ცადა,—
თქვენს არსებაში გაილესა... მარად დარჩება:
მიზნის მიღწევას წრფელი გულით ვინც შეეცადა,
მან მოიპოვა უმაღლესი თვით უკვდავება!

განცვიფრდა ხალხი ამ ხმის სმენითა,
უხმოდ, უსიტყვოდ გაჰყურებს ცასა,
მსოფლიოს მზე-კი სხივთა ფრქვევითა
ეალერსება ადგილს წმინდასა.

. . . . . . . . . . . .
. . . . . . . . . . . .



საწამებლად გამზადებულნი.

შორს, მთის ფერდობზე ისმის სიმღერა,
ბანს ეუბნება არე კლდიანი,
მიდის, უშიშრად მიეშურება
პირდაპირ ცისკენ ადამიანი.
სიმებზე აქსოვს უცხო ჰანგებსა,
ქვეყანას უმხელს თვის გულის ნადებს,
ეტრფის მშვენებას, ეტრფის სიცოცხლეს,
საამო ჰიმნსა მზეს შელაღადებს.
ბუნების მეფეს, სამოთხის შვილსა,
მიზანი, შორით გადაჰფრენია,
ისევ რბის, მიჰქრის მისი ოცნება,
ღელავს .. წამით ვერ მოუსვენია.
უკვე გადავლო მაღალი ქედი,
თან და თან ეთერს უახლოვდება,
გულში უღვივის რწმენა .. იმედი,—
აჰა, ხელს იშვერს... მნათობებს წვდება.

**იდუმალი ხმა:**

«საით მიდიხარ!?
გესმის? —ადგილი არა გაქვს ცაზე,
სიცოცხლის დღენი უნდა გალიო
მიწისა შვილო,—დედა-მიწაზე!
ამაო არი შენთვის ლაჟვარდი,
არ შეგითვისებს ბაღ-ნარი ცისა,
ვეღარ მიაღწევ პარნასის მთასა,
დაგწვავს სხივები ცეცხლოვან მზისა.
უკან დაბრუნდი!.. ნუღარ თავხედობ!..
იქ, ფრინველთ სტვენა დაგიტკბობს სმენას,
ეტრფოდე ნაზთა კოლხიდის ასულთ,
საიმსოფლიოს მიენდე ლხენას»!
—„ჰოი, აჩრდილო, ხმავ იდუმალო,
ცრუ არს ეგ შენი კანონი... მცნება!—
მიწა ჩემია .. მსურს ცაც მე მქონდეს...
წინ სვლაში სუფევს ბედნიერება!
მსურს გამოვიცნო აწ საიდუმლო,
გავხდე ცა-მიწის თვით შემაერთი,
ავხსნა ზეცარსთა არარაობა,
ვამცნო ქვეყანას,—რომ მე ვარ ღმერთი!
მსოფლიოს მეფე“!!!
შესძახა მკაცრად.
და კვლავ თამამად გასწია წინა.
გაისმა ჰიმნი... შორის ეთერით
მზემ, სხივთ გვირგვინი გარდმოავლინა.

—

მეც შევუთანხმე, შევაჩვიე მუზა ობოლი,
ჩემგან არ ნახულს ჩავექსოვე შორეულ დროსა
თუ აქ ვერ ვპოვე, მეყოლება იქ მჯერა ტოლი,—
არ დავუმონებ ჩემ ამაყ სულს ბნელ საწუთროსა.
ვნების ტალღა ვარ, ვუერთდები ცხოვრების ტრიალს,
სიმებს ჩამოვკარ .. მომავლისთვის ამღერდა ჩანგი,
გამომიწოდეთ! შხამიანსა დავაშრობ ფიალს.—
მოვკვდები ხორცით, სულით ზეცად აღმაფრენს ჰანგი!

**ნ. ჩხიკვაძე.**

---

# მუშა შევერიოვი.

(გაგრძელება)

სტუმარიც და მასპინძელიც კარგა ხანს იყვნენ გაჩუმებულნი. ორნივე თავთავიანთ საკუთარ ფიქრს გაეტაცნა. შევერიოვი თავ-ჩაღუნული ჰქას ჩასჩერებოდა და ოდნავ ანძრევდა მუხლებზე დაწყობილ ხელის თითებს. ალადიევს ეტყობოდა, რომ ღელავდა. მას ძალიან უნდოდა გაეგო მოეწონა თუ არა შევერიოვს მისი მოთხრობა. ის დარწმუნებული იყო, რომ მუშებისა და გლეხებისთვის სწერდა, და არა ინტელიგენციისთვის, რომ მისი მოთხრობები სავსებით მუშათა და გლეხთა ცხოვრებას შეეხებოდა. ერთ ორჯერ კიდეც გააღო პირი ალადიევმა, უნდოდა ეკითხა შევერიოვისთვის, მაგრამ ვერ გაბედა, ბოლოს მან პაპიროსი ამოიღო, გაჰკრა წუმწუმის ჩხირს, ცალი თვალი ოდნავ დახუჭა, მიაშტერდა ცეცხლ მოკიდებულ ჩხირს და გაუბედავათ წარმოსთქვა.

— მოგეწონათ ჩემი მოთხრობები?

— მომეწონა... ისე ძლიერად დაწერილია, რომ შთაბეჭდილებას ახდენს—უპასუხა შევერიოვმა.

ალადიევი გაწითლდა და თუმც თავს იჭერდა, მაგრამ მაინც ძალაუნებურათ გაიღიმა.

— მხოლოდ თქვენ ძალიან იდეალურათ უყურებთ ადამიანებს, ცხოვრებას—დაუმატა შევერიოვმა.

— ესე იგი!—აღელვებით შეეკითხა ალადიევი.

— თუ მე არ ვსცდები თქვენი იდეია ასეთია, რომ არ შეიძლება ცუდი იყოს ის ადამიანი, რომელსაც სალი ჰკუა და გონება აქვს. რომ მხოლოდ გარეგანი მოვლენების წყალობით არიან ადამიანები ცუდი; მე ეს არ მრწამს. ადამიანი ბუნებრივათ არის საზიზღარი, მას ეს თვისება თანდაყოლილი და შესისხლხორცებული აქვს, წინააღმდეგ კარგი პირობები შეძლებას აძლევს ზოგიერთებს, ისიც ძალიან მცირე ნაწილს... კარგები იყვნენ.

ალადიევი აენთო, მას ისე შეურყევლათ და მტკიცეთ სწამდა ეს იდეია, როგორც გლეხს ღმერთი, ის იყო მისისი სათაყვანებელი საგანი, ის უნდა დასდებოდა საფუძვლათ მომავალში მის ნაწერებსაც.

— რას ამბობთ, რას!—წამოიძახა მან.

— მე ასე ვფიქრობ—გადაჭრით წარმოსთქვა შევე'იოვმა—მე მუშა ვარ და ეს კარგათ ვიცი.

მის ხმაში გაისმა გულის მომწყვლელი სევდა, რომლის ძალთაათ ჩაჩუმებას და დაფარვას ცთილობდა შევერიოვი, ალადიევს ის შეეცოდა.

— როგორც გატყობთ, თქვენ მწარე ცხოვრება გქონიათ და იმას გაუბოროტებიხართ ასე. შეუძლებელია გწამდეთ ის, რასაც თქვენ ამბობთ, ეს ხომ კაცთმოძულეობას ჰგავს?

— მე არ მეშინია ამ სიტყვის, მე მართლაც მძულს ადამიანები. მხოლოდ უნდა გითხრათ, რომ თქვენ შემცდარი ხართ, როცა ამბობთ ცხოვრებამ მე ,,გამაბოროტა'', მე კი ვამბობ, რომ ცხოვრებამ მე ბევრი რამ „მასწავლა“.

— რა გასწავლათ?

— დავინახო სიმართლე, რომლის დაფარვასაც თავგამოდებით სცდილობენ ადამიანები.

— ვერ გამიგია რათ უნდა დაფარონ, როცა, თქვენის სიტყვით, ყველა ადამიანი ცუდია; ერთი ეს მითხარით რას ეძახით თქვენ სიმართლეს?

-- უნდა დაფარონ, იმიტომ რომ ერთს ადვილად შეეძლოს მეორეების ზურგზე ცხოვრება, ეს ჩვეულებრივი მოტყუილებაა. სიმართლე ის არის, რომ ადამიანის ინსტიქტები მტაცებლურია.

— რას ამბობთ! ყველა!—აღელვებით წამოიძახა ალადიევმა—სიყვარული! თავის გაწირვა!.. სიბრალული!..

— მე არც ერთი ეს არ მრწამს. ყველა ეს მხოლოდ სამოსელია, [რომ დაფარონ სიტიტვლე და თავი დაიცვან მტაცებლური ინსტიქტებისგან, რომელნიც შეუძლებლად ხდიან ცხოვრებას ყველა ეს იდეის ნაყოფია და არა ადამიანის თვისების.. გაწვრთნაა...რომ სიყვარული, რასაკვირველია, არა სქესობრივი, სიბრალული და თავის გაწირვა, ისეთივე თანდაყოლილი ინსტიქტები ყოფილიყვენ, როგორც მტაცებლობა. მაშინ კაპიტალიზმის მაგიერ იქნებოდა ქრისტიანული რესპუბლიკა, მაძღრები ველარ უყურებდენ, როგორ კვდებიან მშივრები, არ იქნებოდენ ბატონები და მონები, იმიტომ, რომ ყველა ეცდებოდა თავი გაეწირათ ერთი მეორესთვის და ამგვარათ ყველა თანასწორი იქნებოდა. ეხლა კი ასე არ არის.

ალადიევი აღელვებული წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო. ისე მძიმეთ აბიჯებდა ფეხებს, თითქოს გუთანს მისდევდა უკან ახალ მოხნულ მიწაზე.

— ადამიანში ჩასახულია ორი, ერთი მეორეს მოწინააღმდეგე თვისება, კეთილი და ბოროტი. ჩვენი მისტიკების ტერმინოლოღია, რომ ავიღოთ პროგრესი ამ ორ თვისებათა ბრძოლაა. თქვენ კი...

— მე ვფიქრობ ეს ორი თვისება რომ თანასწორი ყოფილიყო. ადამიანის ცხოვრება ასეთი საზიზღარი აღარ იქნებოდა. არა, ეს ლოზუნგები არსებობისათვის უბრალო ბრძოლამ გამოიგონა, როგორც გამოიგონა ორთქლმავალი, ტელეფონი და მედიცინა.

— ძალიან კარგი... ასე იყოს... მაშასადამე ადამიანს შეუძლია გავლენა იქონიოს თავის სულიერ მდგომარეობაზე, მაშინ რატომ არა გწამთ თქვენ, რომ ეს ორი თვისება გაიმარჯვებს მტაცებლობაზე?.. იდეალები, თუმცა ნელა, მაგრამ მედგრათ იკაფავენ გზას ცხოვრებაში და როცა გაიმარჯვებენ და გაათანასწორებენ ადამიანთა უფლებას...

— ეს თავის დღეში არ იქნება—გულ-გრილათ წარმოსთქვა შევერიოვმა—ერთ და იმავე დროს პროგრესის ზრდასთან, ცხოვრებაც რთულდება... მის ფარგლები ფართოვდება დაუსრულებლივ, როგორც დაუსაბამოა მსოფლიო... ბრძოლა არსებობისთვის მუდმივი კანონია და შესწყდება მხოლოდ მაშინ, როცა შესრულდება თვით არსებობა.

— მაშ თქვენ არა გრწამთ ცხოვრების უკეთესი ფორმები?

— ახალი მრწამს, უკეთესი კი არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ადამიანი ბედნიერი ან უბედური არა იმიტომ არის, რომ მას კარგი ან ცუდი საქმე უყვეს, არამედ იმიტომ, რომ მასში თავიდანვე ჩანერგულა ტანჯვისა და ბედნიერების გრძნობა.

— ეს პარადოქსია.

— არა — ეს სიმართლეა. არის ისეთი ადამიანი, რომელიც იმდენს სჭამს რამდენსაც ოთხი კაცი, ხოლო თუ სამი კაცის კერძი შესჭამა მშიერი იქნება. ისინი, რომლებიც ეკვატორზე სცხოვრობენ იტანჯებიან, როცა ათ გრადუსზე ნაკლები სითბოა, ხოლო ისინი კი, რომლებიც კამჩატკაზე სცხოვრობენ ბედნიერათ გრძნობენ თავს, როცა სიცივე ოც გრადუსამდე ჩამოდის... ასე ხდება ადამიანის გრძნობათა ყველა დარგში, ეს იმიტომ კი არა, რომ ცხოვრება ასე ცუდია, არამედ იმიტომ, რომ ადამიანს თან დაყოლილი აქვს გრძნობა ტანჯვისა. როგორც უნდა მოაწყოს ადამიანმა თავის ცხოვრება, ის მუდამ იპოვნის მასში ტანჯვის მიზეზს: ქვის საუკუნის ადამიანს, რომ ოცნებით წარმოედგინა ჩვენი ცხოვრება, ასე ეგონებოდა სამოთხეს ვხედავ დედამიწაზეო... ჩვენ კი ეს ოცნება სინამდვილეთ გადაგვექცა, ვცხოვრობთ ამ დროში და ისეთივე უბედური ვართ, თუ მეტი არა, როგორც ის... მე არ მრწამს ოქროს საუკუნე.

— იცით... ეს რაღაც, ეშმაკური, ურწმუნოების რელიგიაა. მაპატიეთ, მაგრამ მე არა მჯერა, რომ თქვენ გულ წრფელათ ლაპარაკობთ. რაღაც გულცივათ წარმოსთქვა ალადიევმა.

— ტყუილათ გგონიათ ასე,—უპასუხა შევერიოვმა და ძალდატანებით გაიღიმა.

— კი, მარა ეს ხომ საშინელებაა...

— მე არ ვამბობ, რომ კარგია.

ალადიევი გაჩერდა ოთახის შუა და ჩაბჟირებით დაუწყო სტუმარს ცქერა.

— მაშ, კარგი—დაიწყო მან ისევ—თუ ეს ასეა, რაში არიან დამნაშავე ადამიანები?... ეს ბუნების კანონია და სხვა არაფერი... ვის უნდა დავსდოთ ბრალი? რატომ უნდა გვძულდეს უბედური ადამიანები?

შევერიოვმა თავი მაღლა აიღო.

— მე მძაგს ადამიანები, მხოლოდ სიცრუისათვის. ის ადამიანები, რომლებისთვის ხელსაყრელია უზრუნველ ჰყონ თავიანთი მაძღარი ცხოვრება, ცარიელ იმედებით და უაზრო იდეალებით გვკვებავენ. და რომ ეს ასე არ ყოფილიყო ადამიანები დიდი ხნიდან ბოლოს მოუღებდენ თავიანთ სიცოცხლეს და უზომო ტანჯვასაც ადგილი აღარ ექნებოდა...

— მაშინ ხომ სულ მოისპობოდა კაცობრიობა?

— დიახ.

— მერე რის გულისთვის?

— უსარგებლო ტანჯვის ბოლოს მოსაღებათ.

ალადიევი დაჩუმდა. ის უმზერდა თავის მოსაუბრეს და ებრალებოდა. ეხლა ის მიხვდა თუ რათ ესვა ცივი ბეჭედი ყოველივე მის მოძრაობას—ამ კაცის გულში დაუსრულებელი სიბნელე და უდაბნო გამეფებულიყო. არც სიხარული, არც სიბრალული, არც რწმენა, არც ურწმუნოება, არც იმედები—არაფერი! უზომო ზიზღი და სასტიკი შურის ძიების წყურვილი—აი რას დაესადგურება მაგრათ მის გულში.

შევერიოვმა გაჩქარებით აათამაშა თითები, ცოტა ხანს დაფიქრდა და წამოდგა.

— ნახვამდის—სთქვა მან—ცოტა დაღლილი ვარ.. ასე ბევრ ლაპარაკსაც არა ვარ დაჩვეული.

ალადიევმა ჩაფიქრებულმა ჩამოართვა ხელი და როცა შევერიოვმა კარს მოსწია საჩქაროთ ჰკითხა:

— ეს მითხარით... თქვენ, მართლა, მუშა ხართ?

შევერიოვმა გაიღიმა.

— გასაკვირი რა არის აქ. დიახ მუშა ვარ.

ის გავიდა გარეთ და მაგრათ კარები გაიხურა.

ალადიევი დიდხანს დადიოდა ოთახში და პაპიროსს პაპიროსზე სწევდა. ის ფიქრებში წასული კვლავ განაგრძობდა დავას. ეხლა, როცა მოპირდაპირე ხმას არ იღებდა, თავისი აზრები შეურყევლათ ეჩვენებოდა და ალადიევი თან და თან ოცნებამ გაიტაცა. მას თვალ წინ წარმოუდგა მომავალი ბრწყინვალე ცხოვრება.. ის ხედავს თვალ გადუწვდენელ მინდვრებს, ტყეებს, სოფლებს აუტანელ შრომაში ჩაფლულს, დიდებული ხალხი მოთმინებით ზრდის თავის სიმართლეს, სიმართლეს მომავალ, სამართლიან ცხოვრებისას ეს წარმოდგენა რაღაც ბუნდოვანი და დიდებული იყო და ალადიევს სულს უხუთავდა, მას უნდოდა დაეწერა რაღაც დიდი რამ, რომლითაც სავსებით უნდა გამოეთქვა ის რაც მას ასე ახარებდა და სტანჯავდა. თავი თან და თან უხურდებოდა, თვალებზე ცრემლები მოადგა. მან წარმოიდგინა, რომ ყველა ეს შესაძლებელი იყო, შესაძლებელი იყო მისი შესრულება. მაგრამ საკუთარი უძლურების მოგონება ფრთებს აკვეცდა მის ოცნებას.

— მე სად შემიძლია.

ალადიევმა მძიმეთ ამოიოხრა და დაიმედებულმა გაიფიქრა.

,,მერე რა... თუ მე არა, სხვა იქნება, მე კი ჩემს საქმეს შევასრულებ".

ერთხანს კიდევ იდგა ოთახის შუა და კედელზე ჩამოკიდებულ ტოლსტოის სურათს მიშტერებოდა. შემდეგ დალია მერვე ჭიქა ჩაი, აიღო პაპიროსები და მიუჯდა საწერ მაგიდას, რომელზედაც გაზეთის ქაღალდები ეფარა.

ის თითქმის გათენებამდე იჯდა მაგიდასთან და შეუსვენებლივ სწერდა. ლამპა ოდნავ ბჟუტავდა და ოთახში ნახევრათ ბნელოდა. ლამპის სინათლეზე მკაფიოთ მოსჩანდა მხოლოდ დიდი გრძელ ცხვირა თავი და მაგარი, გლეხური ხელები, რომლებიც ჩქარ ჩქარა გადი-გამოდიოდენ ქაღალდზე.

ის გულმოდგინებით სწერდა იმის შესახებ, თუ როგორ კვდებიან სიკვდილით დასჯილი გლეხები, უსიტყვოთ, წყნარათ, არ ელიან ქება დიდებას.

პაპიროსის გამო ოთახში ისეთი ბოლი იდგა, რომ თვალს ვერ გაახელდა ადამიანი. ისმოდა მხოლოდ კალამის წრიპინი.

მთელ სახლში სრული სიჩუმე იყო, ფანჯარაში ბნელი ღამე იყურებოდა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს სიბნელე მხოლოდ მოჩვენება იყო, იქ სადღაც კი ფართე ქუჩებზე გაღებულია რესტორანები, ქუჩები დღესავით განათებულია, თეატრებში სიცოცხლე სდუღს და გადადუღს, ისმის კმაყოფილ ადამიანთა სიცილ ხარხარი და ლაპარაკი. ლაპარაკობენ, უყვარდებათ ერთმანეთი, ებრძვიან ცხოვრებას და კვდებიან.

კედელს იქით მაგარ ტახტზე გაუნძრევლათ იწვა შევერიოვი და ფართეთ გაღებული თვალებით სიბნელეში რაღაცას მიშტერებოდა.

(შემდეგი იქნება.)

# თეატრი

**სალიტერატურო საღამო ქუთაისში.**

24 იანვარს შესდგა ქუთაისში სალიტერატურო საღამო, სადაც მოწვეული იყო თითქმის ყველა ახალგაზრდა პოეტები და ზოგიერთი ძველები დანაც, მათ შორის მცხოვანი მგოსანი აკაკი. სამწუხაროთ უგზოობისა გამო ზოგი მათგანი ვერ დაესწრენ ვერ დაესწრო აკაკიც. მიუხედავათ ამ დანაკლისებისა, საღამომ ხალისიანათ ჩაიარა და საზოგადოება, რაც საკმაო ბლომათ დაესწრო, ნასიამოვნები დარჩა.

საღამო გაიხსნა გურული ხოროს სიმღერით, რამაც ძალიან გაამხიარულა დამსწრენი და რამდენ ჯერმე გაამეორებია. შემდეგ ლეო ნათაძემ წაიკითხა რეფერატი პოეტი ქალის— ბაბილინას ლექსებზე. რეფერენტმა პირველ აღნიშნა ის, რომ პოეტი უბრალო მუშა ქალია (ასოთ-ამწყობი და ეს მისი მდგომარეობა ძალიან ემჩნევა მის ნაწერებს; მის ლექსებში წითელი ზოლივით არის გაბმული პროლეტარული პსიხიკა. მისი სასიმღერო საგანი შრომაა, მისი ასპარეზი დედამიწაზეა და თუ აფრინდება ხოლმე ცის სივრცეში, მხოლოდ იმისთვის, რომ იქიდან დედამიწას უფრო უკეთ უყუროს. რეფერენტის აზრით ბაბილინა არ არის რომანტიული იდეალიზმით გატაცებული, მაგრამ არც უკიდურესი რეალისტკაა; მის მსოფლ-მხედველობას რეფერენტი უძახის რეალისტურ იდეალიზმს. შემდეგ მან გაიყვანა პარალელი ბაბილინას და შანშიაშვილის შორის და სთქვა, რომ პირველს სწამს ხალხი და მათ უმღერის, მაშინ, როდესაც მეორე ხალხს უძახის უგნურ და უძლურ ბრბოს და საიცნებო მთაზე ასვლას ცდილობს მარტო თითონ სატრფოსთან ერთათ. რეფერენტის აზრით ბაბილინას სიყვარულის სიმღერაშიდაც შუა ადგილი უჭირავს: ის შორს არის აჰიურ გემოვნების მწერლებისგან, ალექსანდრე ჭავჭავაძეებისა და გრიშაშვილებისგან და მათსავით არ იმეორებს ჩაგეკონე-ჩამეკონე-მაკოცნიეგაკოცნიე გენაცვალეს და სხვას მაგრამ არც პლატონიურად უყურებს ამ კითხვას; არ ჰყოფს უარს სულიერ სიყვარულთან მიწიერ სიყვარულსაც, ხოლო აქაც ჰპოებს სიმშვენიერეს სულიერ სიყვარულთან შეერთებით. .

შემდეგ წაიკითხეს თავისი ნაწარმოები პოეტებმა, რომელთა შორის აღფრთოვანება გამოიწვია ქუჩიშვილმა. მან არა მარტო შესაფერი ლექსი, არამედ შესაფერისადაც წაიკითხა! ერთითაც და მეორითაც მან დაამტკიცა, რომ ფსევდონიმი—ქუჩიშვილი მისთვის ზედ გამოჭრილია. განსაკუთრებული აღფრთოვანება მან გამოიწვია მუშებში. კარგათ წაიკითხეს თავისი ნაწარმოებნი ბ. გელამ და ნ. ჩხიკვაძემ, თურდოსპირელი და ბაბილინა კი დეკლამაციაში კოჭლობდენ, მაგრამ ყველამ ასიამოვნა საზოგადოება თავისი გამოსვლით და შინაარსიანი ლექსებით და საზოგადოებამაც მხურვალე ტაშით დააჯილდოვა. ძალიან ესიამოვნა საზოგადოებას ნიჭიერ ბელეტრისტის კლდიაშვილის გამოსვლა, რომელმაც წაიკითხა თავად ,,პეტრეს ნაამბობი'' ძველი ბატონიშვილების ცხოვრებიდან და ცახელისა, შინაარსიანი პოემა ,,საბრალო ბაბუა''.

საღამოში მონაწილეობა მიიღეს და საზოგადოება ბევრი აცინეს ჩვენმა იუმორისტებმაც თავგუნა თითონ ვერ ჩამოვიდა მაგრამ ლექსი გამოგზავნა და წაკითხვა მიანდო ნ. ჩხიკვაძეს, რომლითაც ქუთაისს უსურვებს კიდევ სამიოდე ალაბ თოვლს და მერე ერთბაშათ გალბობას, რომ ნიაღვარი მოსულიყოს და ქუთაისი ფოთში ჩაეტანოს ნიკოსთვის საჩუქრათ. თავი მაინც არა გაქვთო და ამიტომ ყველა მოიგებსო: ხმოსნებიც ნიკოც და მთავრობაცო. აცინა საზოგადოება აპოლონ წულაძის სცენებმაც. მანვე წაიკითხა ეშმაკის სცენებიც, რომელიც წანასიტყვაობაში უთვლიდა დამსწრეთ, რომ ის ქუთაისში ავათ გახდა: დამუნჯდა, დაბრმავდა, გარეტიანდა, ასე რომ აღარაფრათ აღარ გამოდგება, თუ არა ქუთაისის თავათ. ძალიან დააფიქრა საზოგადოება ირეთელის მწარე „დესერტმა": მან წაიკითხა მხილება საზოგადოების ყველა ჯგუფების მიმართ სათაურით: ,,სალიტერატურო საღამო'', რითაც ბევრი შმუშნა და მიხედ-მოხედვა გამოიწვია ერთი მეორესაკენ, თითქო ეუბნებიან: არა შენზე ამბობს, არა შენზეო.

ყურადღებით მოისმინა საზოგადოებამ ი. ნიკოლაიშვილის მოთხრობა ,,ტუფლები'' (ტუსაღის ნაამბობი).

დასასრულ გურულებმა ისევ იმღერეს რამდენიმე სიმღერა და ფრიად ნასიამოვნები საზოგადოებაც დაიშალა.

ამ საღამომ ღრმა კვალი დასტოვა ქუთათურების გულში.

ლ—ა.

—

**ჭიათურა.** კვირას, 16 იანვარს წარმოადგინეს რამიშვილის დრამა „მეზობლები". სამწუხაროთ წარმოდგენამ სუსტათ ჩაიარა. ეს მით უფრო სამწუხარო იყო, რომ ჩვენ უკვე დავეჩვიეთ კარგათ ჩატარებულ პიესების ცქერას. ეს დრამა უმთავრესად ეფექტებით „სულდგმულობს" წარმოდგენის დროს, ეფექტებს „კი" ვერ „ მოახდენს სუფლიორისგან ნაკარნახები სიტყვების განმეორება, თუნდაც

ეს სიტყვები თავის თავად ულამაზესი და უძვირფასესი იყოს. მთავარი დამამშვენებელი როლები ამ პიესაში არის მენაბდიშვილისა კნიაჯნა ტასოს როლები და სამწუხაროთ სწორეთ ესენი სრულდებოდა ძალიან სუსტათ და მით მთელ პიესას ელფერი ეკარგებოდა. მიუტევებელი შეცდომა არის ამ როლებში გამოსვლა ანთელიძისა და მ. ჩხეიძისა. ამ როლებისთვის საჭიროა ჯერ ხმა და მერე ძალზე თავისუფალი მოქმედება, გ. ანთელიძე და მ. ჩხეიძე კი, გარდა იმისა რომ ამის ძალა არ შესწევთ, უსუფლიოროთ ერთ ბიჯსაც არ გადადგმენ. განსაკუთრებით მ. ჩხეიძე საეგზამენოთ გამოყვანილ მოსწავლე ქალს უფრო მოგვაგონებდა.

იმედი ვერ გაგვიმართლა ქ-ნმა წულუკიძემ (მამიდა მართა). მან ოდნავ ვერ მოახერხა შესულიყო მკაცრი, ავთარი კნეინას როლში. არ ვიცი როლი არ იცოდა, თუ როგორდაც იყო, ისეთ მოაბეჭდილებას ახდენდა, თითქო ვიღაცას ბრძანებით ლაპარაკობსო, მაშინ, როდესაც მთელი მისი არსება ბრძანებას უნდა გამოხატავდეს. ქ. წულუკიძეს საზოგადოთ თამაშის ნიჭი აქვს, ხოლო უნდა ეცადოს შესაფერ როლებში გამოვიდეს ხოლმე.

შედარებით კარგად დაგვიხატა გაიძვერა თავადი-ინჟინერი (გელოვანიძე) ბ. ვარაზაშვილმა. მით უფრო უნდა ჩაეთვალოს ეს თამაში მას კარგად, რომ ეს როლი მან მოულოდნელად აიღო ბ. ჭანიშვილის ავათმყოფობის გამო. საზოგადოთ მას ძალიან უხდება ასეთი როლები და კარგს იზამს თუ ამას მეტს ყურადღებას მიაქცევს.

ჩვეულებრივზე კარგათ თამაშობდა ქ. ს. ჩხეიძე (ბებია მაიკო).

გვარიანად შეასრულა ირაკლის როლი ბ. მითაიშვილმა და ბევრით კარგი იქნებოდა, რომ გრიმი გაეკეთებია. ის გამოვიდა სრულიად უგრიმოთ, თავის სახით და თავის ტანისამოსით, რაც მომაკვდინებელ დანაშაულად უნდა ჩაითვალოს. სცენაზე თავის სახით გამოსვლა დიდ ქალაქებში რა არის, სადაც ასე თუ ისე ყველანი არ გიცნობენ და ჭიათურაში კი ყველანი ყველას ნაცნობია, მიუხედავათ ამისა მას სცენაზე კარგად ეჭირა თავი და ერთათ-ერთმა შესძლო თავის როლისთვის ცოცხალი სული ჩაედგა.

გვარიანი იყო ქ. ქილარჯიშვილიც (კატო); ამ როლში მეტს არც მოველოდით.

არა უშავდა რა წუწუნავას (გრუშნევსკი) თუმცა მისგან მეტს ველოდით. მას ამ დღეს ვერ მოვეყავდით ჩვეულებრივ აღტაცებაში თავისი მიმიკით. ვერც გრუშნევსკის მხიარულ ხასიათს გაუსვა კარგად ხაზი. თითქოს რაღაც ხასიათზე არ იყო.

# მოწერილი ამბები.

## (პროვინცია).

**ხონი.** იანვრის პირველ რიცხვებში ი. ნაკაშიძემ წაიკითხა ლექცია დავით კლდიაშვილზე. ლექციის პირველ ნაწილში ლექტორი შეეხო საზოგადოთ მწერლობას, აღნიშნა როგორ იკვლევს მეცნიერება ბურუსით მოცულ გზებს და თუ როგორ უადვილდება მასსას მერმე ამ გზებზე სვლა. მან მოიყვანა კრაპოტკინის აზრი საზოგადოთ მწერლობაზე. „მე მუდამ ვეცდები ვიკვლიო გზები და ვემსახურო ხალხსო“, ამბობს კრაპოტკინიო, სთქვა ლექტორმა; მაგრამ თუ რაში გამოიხატება ეს სამსახური, თუ რამდენად სწორია კრაპოტკინის მიერ არჩეული გზები, ამაზე კი ლექტორმა არაფერი სთქვა. „როგორც შეიძლება დაუსრულებლივ მონახვა ცის სივრცეში ახალ ახალი მნათობებისა, ისე შეიძლება დაუსრულებლივ მონახვა ახალ-ახალი გზებისა“-ო.

ერთი სიტყვით, ლექტორის აზრით კაცობრიობა საბოლოო მიზანს ვერასოდეს ვერ მონახავს, მას დასასრული არ აქვს. ლექციის მეორე ნაწილში გაგვაცნო ფანტაზიური და რეალური მწერლობა; შეადარა ვაჟა-ფშაველა და კლდიაშვილი ერთმანეთს, დაგვიხატა ვაჟა ფშაველა როგორც მხატვარი, მაგრამ ამავე დროს დაშორებული დღევანდელ ცხოვრებას, დ. კლდიაშვილი კი, როგორც უფრო რეალისტი, ხალხთან ახლო მდგომი, მისი გაჭირვების და ტკივილების გამგები. შემდეგ ლექტორი შეეხო ნინოშვილს, გაარჩია მისი მოთხრობა „პალიასტომის ტბა“ და აღიარა—ეგნატეს გზა სწორ და უტყუარ გზათ. „მწერლობა დაადგება ეგნატეს გზას, მისი გზა სწორია, მისი გზა რეალურია“-ო, დაათავა ამ სიტყვებით ლექციის მეორე ნაწილი ბ. ნაკაშიძემ. შემდეგ ლექტორმა დაიწყო თუ როგორ და სადაურ მწერლებს ეცნობა დღევანდელი ჩვენი საზოგადოება. «საუბედუროთ, სთქვა ლექტორმა, ჩვენი საზოგადოება ჩვენს მწერლებს არ ეცნობა, ის სადღაც შორს გარბის და განყენებულს, შორეულს მწერლობას ებღაუჭება და ეს კი გადამდებ სენათ უნდა ჩაითვალოს დღევანდელ დროში“-ო. როგორც ეტყობა ლექტორი დიდი მოსიყვარულე ყოფილა სამშობლო მწერლობის, მაგრამ უფრო კარგი იქნებოდა ასეთ მოვლენების ნამდვილი მიზეზები გადაეშალა საზოგადოებისათვის და მისი გამომწვევი მიზეზები დაეგმო, ვინემ თვით საზოგადოების საქციელი. რაც შეეხება იმას, რომ ლექტორმა გარეშე მწერლობას განყენებული მწერლობა უწოდა ეს ზედ მეტი იყო და დიდ შეცდომათაც უნდა ჩაითვა-

ლოს. განა ტოლსტოი, ტურგენევი, ჰაუპტმანი, გორკი, ანდრეევი და სხვა მწერლები ისე არ ეხებიან ჩვენს ცხოვრებას, როგორც ჩვენი მწერლები? განა ისინი რეალისტები არ არიან? შემდეგ ლექტორმა გარჩია კლდიაშვილის ნაწერები „სამანიშვილის დედინაცვალი, სოლომონ მორბელაძე და მრევლში“. აღნიშნა თუ როგორ მკვეთრად და სატირულად ეხება კლდიაშვილი ჩვენი ცხოვრების მტკივანს მხარეებს. აღნიშნა საზოგადოთ იუმორის და სატირის მნიშვნელობა ცხოვრებაში. მოიყვანა გრიბოედოვის იუმორისტული ნაწერებიდან რამდენიმე ადგილი, სადაც გრიბოედოვი შლისელბურგის ციხეში პატიმრობის დროს იუმორისტობით გაჭივრებას უმსუბუქებდა მის ამხანაგ ტუსაღებს, და ამ მხრივ კლდიაშვილის ნაწერებს პირველი ადგილი დაუთმო ჩვენს მწერლობაში და საერთო განხილვიდან გამოიყვანა ის რეალისტ მწერლად და იუმორისტად. შემდეგ აღნიშნა, რომ ყოველივე პროგრესიული მწერლობა თავისუფლებისათვის იბრძვის. მოიყვანა მაგალითი იტალიიდან, აღნიშნა გარიბალდის მოღვაწეობა და ერთობა და სიყვარული უპირველეს იარაღათ აღიარა თავისუფლების მოპოებისათვის ,,ჩვენში კიო, სთქვა ლექტორმა, მოძრაობას მატე რიალისტური ხასიათი ქონდაო''. მისი ბელადები და სარდლები ფანტასტიკები იყვნენო და გარეშე პირობებს უფრო უპირატესობას აძლევდენ ვინემ ადგილობრივსო. მათი შრომა კინკლაობაში და შინაურ ომში გამოიხატებოდაო''. აქ კი ლექტორმა თავის სახე ნათლად დაგვანახა. მან გაიმეორა ერთხელ კიდევ ის, რაც ჩვენ მოწინააღმდეგესაგან ათასჯერ გამეორებულა. მას უძებნია ღრმა მიზეზები მოძრაობის დამარცხებისა და კიდევაც მოუნახავს როგორც ეტყობა.

**გომგლელი.**

—

**ბაქო.** არსებობს ქალაქ ბაქოში წ. კ. გამ. საზოგადოების ფილიალური განყოფილება; ყავს მას გამგეობა, რომელიც მართავს თავის კრებებს და ხანდისხან იწვევს სათათბირო კრებებსაც. როგორც გამგეობაში, ისე სათათბირო კრებებზე მოდიან უმთავრესათ ეგრეთ წოდებული „მაღალი“ წრის ქართველები. დემოკრატიულმა ელემენტმა კი არ იცის, თუ არსებობს სადმე ფილიალური განყოფილება და „მოღვაწეობს“ მის გასათვითცნობიერებლად; არ იცის იმიტომ, რომ განყოფილების მესვეურნი ჩაკეტილნი არიან თავიანთ „სიმაგრეში“ და ახლოსაც კი არავის იკარებენ...

ეს მოვლენა, ცხადია, თავის დაღს ამჩნევს განყოფილებას. ის ფრთის გაშლას ვერ ახერხებს. ტრიალებს იმ ვიწრო წრეში, რომელთა წევრებიც არსებითათ სულ არ არიან დაინტერესებული განყოფილების მიზანთა განხორციელებით; რომლებიც, თუ ეხმარებიან განყოფილებას, ეხმარებიან მხოლოდ რადაც ქველმოქმედური მოსაზრებით, რომელიც, ცხადია, ვერაფერი ნუგეშია ასეთი დაწესებულებისთვის...

ამ კითხვის გარშემო ჩვენ კიდევ მოგვიხდება დაბარაკი, ახლა კი გვინდა, ორიოდე სიტყვა ვსთქვათ განყოფილების მიერ აქ გამართული წარმოდგენის შესახებ.

ბაქოიობა, ფაფხური რომ „ჩვენი პატრიოტი“ ინტელიგენციის დამახასიათებელი თვისება იყო, ეს ვიცოდით, მარა თუ ეს „ღირსება“ აქამდე ავიდოდა, არ გვეგონა. და მართლაც, რა ამბებით იყო აფიშები გამოკრული ბაქოს ქუჩებზე!.. „განყოფილების—დრამატიული დასის მიერ“... გაიმართება „სადღესასწაულო წარმოდგენა“. ნამდვილათ? ნამდვილათ კი—აიწია ფარდა და დავინახეთ, ჩვეულებრივ, ქართველ სცენის მოყვარეთაგან საბრალო ტრ. რამიშვილის „საბედისწერო დამბაჩის“ ჩვეულებრივი დამახინჯება. თითქმის არც ერთი ნამდვილი ტიპი, არც ერთი ცოცხალი სცენა! ყველაფერი ნაძალადევი, უფერული... „დრამატიული დასის არტისტებისაგან“ (მათ ყველას ასეთი დიპლომი აქვთ!) კი სრული უფლება გვაქვს მოვითხოვოთ პიესის ნამდვილათ წარმოდგენა... (საერთო სურათის შეცვლა, ცხადია, არ შეეძლო ქ-ნ ჩაგუნავას, რომელიც ასე თუ ისე რიგიანათ ასრულებდა როდამის როლს).

ასეთი გამოდგა „სადღესასწაულო“ დამახინჯება... უკაცრავათ, წარმოდგენა, რომელსაც უფრო ამშვენებდა ის გარემოება, რომ კარებში დაყენებიათ ვიღაც მოხელე, რომელიც გამოცდილ „დაქისავით“ ედირდიტებოდა ყველას, ეუდათ „საქველმოქმედო მიზნით“ გამართულ წარმოდგენის პროგრამა...

„საბედისწერო დამბაჩა“-ს შემდეგ ითამაშეს 1 მოქმედებ. ვოდევილი, „დატრიალდა ჯარა“. ამ ყოვლად უაზრო, დამახინჯებული ვოდევილის დადგმაც დამახასიათებელია ჩვენი ფილიალური განყოფილებისა!..

პროგრამაში გვაუწყეს, ორ თებერვალს ჩვეულებრივი ქართული საღამო გაიმართებაო. ამბობენ, ფოცხვერაშვილს იწვევენო. ღმერთმა ქნას რომ მას არ ქონდეს ასეთი „სადღესასწაულო“ ელფერი...

როცა ადამიანი სუსტია, მას ნაკლები ყველაფერი შეფერის. ეს რომ ჩვენ განყოფილებას სცოდნოდა, მაშინ გამოაცხადებდა, სცენის მოყვარეთა დასი წარმოდგენას გამართავსო, და ჩვენც მოტყუებული არ დავრჩებოდით. შემდეგისთვის რომ გამოიყენებდენ ამ გაკვეთილს, ჩვენ იმისაც კმაყოფილი ვიქნებით!

**ბეხო.**

—

**ბათომი.** საზოგადოთ დასავლეთ საქართველოს და კერძოთ ბათუმელების სალაპარაკო საგანი ამ დროებით თოვლი გახდა. ვინ გინდა, რომ ეხლა თოვლზე და მის შედეგზე არ ლაპარაკობდეს. სამწუხაროთ, ხალხი ამ ბუნების სტიქიას სრულიად მოუმზადებელი შეხვდა და მით ათასნაირ გასაჭირში ჩავარდა. სურსათი გამოელიათ, მთელ მხარეში მიმოსვლა შეწყვეტილია, საჭირო სურსათის მოტანა შეუძლებელი ხდება, ბევრ ოჯახებში უღლის ხარებს და მარჩენალ ძროხებს კლავენ და ჩალის ფასათ ყიდიან, ბევრგან საქონელი შიმშილით იხოცება, უმეტესათ მეჯოგეების, რომელნიც ცის ქვეშ დარჩენ; წისქვილები ჩაყინულია და სიმინდის დაფქვა შეუძლებელია. ხალხის უმთავრესი საზრუნავი სახლების სახურავის თოვლისაგან დაწმენდაა. ოთხ-ხუთხელ დასჭირდა სახლებს დაწმენდა. ყოველი მხრიდან იუმედობაა, მით უმეტეს სოფლელებისთვის. ამავე დროს ბათუმის უმაღლესი მთავრობა დიდს „მზრუნველობას“ უწევს სოფლელებს. ამ დღეებში ბათუმის გუბერნატორის თანაშემწემ ცირკულიარი (საყოველთაო მოწერილობა) გაუგზავნა ოლქის უფროსს და მის ხელ-ქვეითებს, სადაც სხვათა შორის აცალებს მას, რომ ბათუმის პოლიცმეისტერის მოთხოვნილებისამებრ გამოაწვიოს საკმაო რიცხვი მუშებისა მახლობელი სოფლებიდან და დააწმენდიოს ქალაქის ქუჩები და მოედანი თოვლისაგან, თანახმად იმ გეგმისა, რომელიც შემუშავებულია ქალაქის თვითმართველობის დანიშნული კომისიის მიერ. (ესდა აკლდა ახლა სოფლელებს) ამ კომისიის აზრით კი ქუჩები უნდა გაიწმინდოს დაქირავებული მუშებით, თოვლი კი უნდა გაიზიდოს ქალაქ გარეთ, რადგან მოსალოდნელია თოვლისაგან ამდგარმა ნიაღვარმა ქუჩები წალეკოს და ქალაქს აუარებელი ზარალი მიაყენოსო. ეს მოსაზრება კომისიამ წარუდგინა დასადასტურებლათ ხმოსანთა კრებას 22 იანვარს, ხმოსანთა კრებამ ერთხმათ უარჰყო კომისის აზრი. მოტივი უბრალოა, ქალაქს ამ მხრივ არავითარი საფრთხე არ მოელისო. (ალბათ ეგონათ სოფლელები ჩამოვლენ და უფასოთ დაუწმენდავთ ქუჩებს), ქალაქის საფრთხის რა მოგახსენოთ და მოქალაქე კი, არა თუ ასეთ თოვლში, არამედ უბრალო წვიმიან დროსაც საფრთხეს განიცდის ბათუმის ქუჩებში.

24 იანვარს დიდი ქარიშხალის გამო ზღვის ტალღებმა ადგილობრივ სატუსაღოს კედლებს ძირი გამოუთხარა, ბულვარში პირველ ხეივნამდე გადმოვიდა, მრავალი ხეები ძირიანათ ამოგლიჯა და გაიტაცა, სავაჭრო გიმნაზიის მახლობლათ ტროტუარები დაანგრია და სხვა მრავალი ზარალი მიაყენა ქალაქს და კერძო პირებს—ქარხნებში მუშაობა შეჩერებულია, სამაგიეროთ რკინის გზაზე აუარებელი მუშა მუშაობს და თოვლს ვაგონებით ქალაქს გარეთ ეზიდებიან. სახალხო მატარებელი ხშირათ იგვიანებს სამ-ოთხ საათს, საქონლის მატარებელის მიმოსვლა შეწყვეტილია.

ასკანელი.


# იყიდება

მლიერ დაკლებულ ფასებში

**შემდეგი გამოცემანი:**

1) ,,**ეშმაკის მათრახი**'' 1908 წლისა (35 ნომერი ერთად შეკერილი)—1 მან.; დაკაზმული მშვენიერ ყდაში - 1 მან. 75 კ.; მსურველს პროვინციაშიაც გაეგზავნება ფოსტით ხოლო გაგზავნის მიმატება—50 კ.

2) ,,**მათრახ სალამური**'' 1909 წლისა (34 ნომერი), დაკაზმული და დაუკაზმავი – იმავე ფასებში, როგორც პირველი.

3) ,,**ეშმაკის მათრახი**'' 1907 წლისა (13 ნომერი ერთათ შეკერილი)– 1 მ.; გაგზავნით 1—20.

4) ,,**ალმანახები**'' 1909 წელში გამოცემული: ,,აკაკი'', ,,ეშმაკი'', ,,ჯოჯოხეთი'', ,,ეშმაკის მათრახი'' და ,,ტარტაროზი''. (სულ 10 ნომერი ერთათ შეკერილი)—30 კაპ.; გაგზავნით 50 კ.

5) ,,**ქრისტინე**'' დრამა, ირეთელისა გაგზავნით 20 კ.

ვისაც სურს თითო ცალის გამოწერა პროვინციებიდან—ფულის მაგივრად შეიძლება, ღირებული ფოსტის მარკებიც გამოიგზავნოს

ადრესი: Тифлисъ, Типографія Шрома, Мухранская ул. № 12, Теофилу Болквадзе.

პირველ იანვრიდან გამოდის ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

# სალამური

**ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მანეთი თვიურათ 50 კაპ. ცალკე ნომერი 10 კაპ.**

დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, კრიტიკული წერილები, პატარა ფელეტონები, საყურადღებო ამბები, კორესპონდენციები და სხ.

კორესპონდენციები, სხვა წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს, Тифлисъ Типографія ,,Шрома'' Мухранская, № 12, Теофилу Эрастовичу Болквадзе, для саламури·


ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ მუხრანის ქუჩა № 12. რედ.-გამომც. ნ. სულხანიშვილი.